

გიორგი ბადაშვილი

---

დაიბადა 1981 წელს.

2003 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

2017 წლის 7 ივნისიდან იკავებს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილის პოსტს.

გიორგი ბადაშვილმა კარიერა დაიწყო 2006 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში და პროფესიულ საქმიანობას ეწეოდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 2006-2008 წლებში იგი მუშაობდა საგამოძიებო სამსახურის აჭარის სამმართველოში გამომძიებლად; 2008-2011 წლებში საგამოძიებო სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს გამომძიებლად; 2011-2012 წლებში საგამოძიებო სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს უფროსის მოადგილედ და შემდგომში ამავე სამმართველოს უფროსად.

2013 წელს გიორგი ბადაშვილმა კარიერა განაგრძო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) დირექტორის მოადგილის პოზიციაზე.

2013 წლის ნოემბრის თვეში კი დაინიშნა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსად.

2014 წლის 21 იანვრიდან 2015 წლის 27 ნოემბრამდე იკავებდა საქართველოს მთავარი პროკურორის პოსტს.

2015 წლის დეკემბრიდან 2017 წლის 07 ივნისამდე კი იკავებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის თანამდებობას.

გიორგი ბადაშვილს გავლილი აქვს არაერთი ტრენინგი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, ფინანსური დანაშაულებისა და ფულის გათეთრების გამოძიების კუთხით. მათ შორის მას მონაწილეობა აქვს მიღებული აშშ ფედერალური გამოძიების ბიუროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „დაკითხვის ტექნიკა და რეპორტების შედგენა“ და აშშ ხაზინის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგთა მოსამზადებელ ტრენინგში.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.